

11/05/2026



MES 3 26 0000559227

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 27 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting <https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=81210453767>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:**

- ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
- გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
- ეკატერინე გიგაშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
- გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნათია მჭედლიძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ლელა კიკნაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**ნინო ხელაძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მარიამ ჩოხელი** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

### **საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ნინო რამიშვილი

თეიმურაზ საღინაძე

ქეთევან ბოტკოველი

ალექსანდრე კეკენაძე

ნანა ნატროშვილი

ხათუნა ბაკურაძე

ნანა მონიავა

ხათუნა მაისაია

ინგა კალანდაძე

### **დაწესებულებების წარმომადგენლები:**

#### **სსიპ კოლეჯი "მერმისი"**

დირექტორი - ნონა ღუდუშაური

ხარისხის მართვის მენეჯერი - ნანა ნამგალაძე

#### **შპს ინტერბიზნესის აკადემია**

დირექტორი - ინგა მანაშერიძე

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნაზო წიბლიაშვილი

#### **შპს მარნეულის კოლეჯი**

აკადემიური დირექტორი - ნინო გომელაური

ადმინისტრაციული დირექტორი - სოფიო გომელაური

სტრატეგიული მენეჯერი - შორენა ალაგარდაშვილი

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - იამზე ახალკაციშვილი

#### **შპს თავისუფალი ხედვის აკადემია**

დირექტორი - იოსებ აბესაძე

დირექტორის მოადგილე - ზვიად არძენაძე

აკადემიის ხელმძღვანელი - ბექარ კილასონია

ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულებების მენეჯერი - ნინო ვასაძე

## **შპს ცხუმ-ეგრისი**

დაწესებულების დირექტორი - გელა მამფორია

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი - ნონა თაკალანძე

### **საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. „შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კოლეჯის "მერმისი" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს N971638 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, განმარტება გააკეთა

გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 1-ლი მაისიდან იწყება ანკეტა-კითხვარების შევსების პროცესი, რის გამოც, ცენტრი ვალდებულია, არაუგვიანეს 27 აპრილისა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS) მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნანი დალაქიშვილმა ითხოვა საბჭოს თანხმობა, რათა სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს 27 აპრილი.

საბჭო დაეთანხმა აღნიშნულს.

**პირველი საკითხი:** „შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა შპს ინტერბიზნესის აკადემიის N377395 - 30/03/2026 წერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვის" პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

**პროგრამის სახელწოდება - "ბუღალტრული აღრიცხვა"**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **97 კრედიტი**  
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **127 კრედიტი**  
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება განახორციელებს **კოოპერაციული** მიდგომით.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილებებით პროგრამის სწავლება განხორციელდება 2026 წლის საგაზაფხულო მიღებიდან. 2024 - 2025 ს.წ და 2025 - 2026 ს.წ საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლა დასრულდება ძველი რედაქციით არსებული პროგრამით, მიღევად რეჟიმში.

აღნიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N936737- 31/07/2025 (ცვლილება გადაწყვეტილებაში N1773688 -11/12/2025 გადაწყვეტილებაში).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს “შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ” პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936737 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების N936737 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**მეორე საკითხი:** „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი ერქვანის N421835 - 08/04/2026 და N436561- 15/04/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობის“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან.

აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

#### **პროგრამის სახელწოდება - „ელექტრობა“**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი**  
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი**  
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება განახორციელებს **იმიტირებულ** სამუშაო გარემოში.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N936728 - 31/07/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 31 ივლისის N936728 გადაწყვეტილებაში,

კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტრობა" პარამეტრებში. გადაწყვეტილების №936728 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

### **სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე.**

**მესამე საკითხი:** „სსიპ კოლეჯის "მერმისი“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს N971638 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

საბჭოს წევრ ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდა აცილება.

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯ მერმისის N372425 - 27/03/2026 და N411711- 06/04/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „იატაკისა და ფილების სამუშაოები“ პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები:

#### **პროგრამის სახელწოდება - „ელექტრობა“**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი**  
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი**  
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებულ** სამუშაო გარემოში.

#### **პროგრამის სახელწოდება - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **55 კრედიტი**  
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **70 კრედიტი**  
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებულ** სამუშაო გარემოში.

#### **პროგრამის სახელწოდება - „იატაკისა და ფილების სამუშაოები“**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი**  
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **96 კრედიტი**  
აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **კოოპერაციული** მიდგომით.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და „იატაკისა და ფილების სამუშაოები“ სწავლება განხორციელდება 2026 წლიდან მიღებული პროფესიული სტუდენტებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია სწავლების დისტანციური ფორმით

განხორციელების დასაბუთება, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N971638 - 11/08/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯის "მერმისი“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს N971638 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯის "მერმისი“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს N971638 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ელექტრობა", „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პარამეტრებში. გადაწყვეტილების N971638 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 3**).

**მეოთხე საკითხი:** შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

#### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

#### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა მონიავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების (2026 წლის 5 მარტის N269204 ბრძანება 2026 წლის 13 თებერვლის N163804 ბრძანებაში ცვლილების შესახებ) საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს ცხუმ-ეგრისში (მისამართი ქ.ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ. N32) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12 მარტს. შპს ცხუმ-ეგრისმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დამატებით კიდევ 40 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველი ვიზიტის პროცესში დეტალურად იყო განმარტებული ექსპერტთა ჯგუფისათვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, 164 სააღმზრდელო ჯგუფით; 2026 წელს იგეგმება მუნიციპალიტეტის 10 საბავშვო ბაღის ექსპლოატაციაში შეყვანა დაწესებულებამ წარმოადგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ მოწერილობა კოლეჯისადმი, რომელშიც აღნიშნულია აღმზრდელის პროგრამის საჭიროება და პროფესიის მნიშვნელობა სამეგრელოს რეგიონისთვის. ასევე, დაწესებულებამ განმარტა, რომ 2025 წელს პროგრამაზე იყო ჩარიცხული 32 სტუდენტი 66 განაცხადიდან. სამუშაო ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან ვითარებაში. აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამა „აღმზრდელი“ (კოდი 0112) არის მეხუთე დონის. განხორციელების ადგილია ქალაქი ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქუჩის №32-ში მდებარე სასწავლო კორპუსი და მიზნად ისახავს სკოლამდელი აღზრდის სფეროში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. სწავლება მიმდინარეობს კოოპერაციული ფორმატით. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 116 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის - 146 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 პირამდე გაზრდის შესახებ, რაც დასაბუთებულია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გადანაწილებით. პროგრამის განხორციელების აქტუალობა დასტურდება შრომის ბაზრის დეტალური ანალიზითა და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნით. დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას 2019 წლიდან წარმატებით ახორციელებს. კოლეჯში მოწყობილია ორი A ტიპის და სამი B ტიპის სასწავლო გარემო, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებითა და საჭირო ინვენტარით 80 სტუდენტის ერთდროული სწავლებისთვის. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში, გაფორმებულია პარტნიორული ხელშეკრულებები ქალაქ ზუგდიდის ოთხ წამყვან საბავშვო ბაღთან (№1, №12, №13, №15), რომელთაგან თითოეულს გააჩნია რესურსი 40 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული

კომპონენტის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული თანამშრომლობა გარანტიას იძლევა, რომ თითოეული სტუდენტი ჩართული იქნება რეალურ სამუშაო გარემოში და შეიძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 18 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთაგან 11 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის დატვირთვა სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დაწესებულებას თითოეულ მოდულზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას კადრების ცვლილების ან დროებითი არყოფნის შემთხვევაში. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ადმინისტრირებასა და თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაში.

სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმატით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო სივრცითა და ინტერნეტთან წვდომით, ხოლო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ბაზა სტუდენტებს სთავაზობს საჭირო სახელმძღვანელოებსა და რიდერებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც ასახულია სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში. დაწესებულებას გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცედურა, რაც სსსმ და შშმ პირებისთვის სასწავლო მასალების აკომოდირებასა და მოდიფიცირებას ითვალისწინებს.

ფინანსური მდგრადობის კუთხით, პროგრამა „აღმზრდელი“ ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას. საპროგნოზო ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 57 სტუდენტი, რაც მოთხოვნილი კვოტის (80 სტუდენტი) პირობებში სრულად ფარავს ყველა საოპერაციო ხარჯს, მათ შორის პერსონალის ანაზღაურებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა 80 სტუდენტის ერთდროული სწავლების პირობებში პრაქტიკის ეფექტიანად მართვის თაობაზე. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფს წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტები (საბავშვო ბაღები) თითოეული სტუდენტის რეალურ ჩართულობას, მით უმეტეს, რომ ექსპერტთა ჯგუფს ობიექტები ადგილზე არ დაუთვალა იერებია (ვიზიტის ნაწილი განხორციელდა დისტანციურად). ავტორიზაციის ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განმარტა, რომ სტუდენტთა რაოდენობა გადანაწილდება ოთხ სხვადასხვა ბაღზე, რაც თითოეულ ობიექტზე დატვირთვას მნიშვნელოვნად ამცირებს. მისი თქმით, პრაქტიკის ორცვლიანი რეჟიმი და ჯგუფების სიმრავლე იძლევა იმის გარანტიას, რომ თითოეულ ჯგუფში ერთდროულად მცირე რაოდენობის სტუდენტი იქნება წარმოდგენილი.

სასწავლო აქტივობებისა და სტუდენტთა ჩართულობის შესახებ, საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დააზუსტა, რამდენად შესაძლებელია ორცვლიანი რეჟიმში იმ კრიტერიუმების შესრულება, რასაც პროგრამა ითვალისწინებს. დარგის ექსპერტმა, ინგა კალანდაძემ, განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი ძირითადად დამკვირვებლისა და ასისტენტის როლშია, რაც საშუალებას იძლევა ერთ ჯგუფში 2-დან 5-მდე სტუდენტის ყოფნას პროცესის შეფერხების გარეშე. შერჩეული ბაღები (ზუგდიდის №1, №18, №12, №15 საბავშვო ბაღები) არის მრავალჯგუფიანი და დიდი მოცულობის შენობებით, რაც თავისუფლად ფარავს მოთხოვნილ კვოტას. თითოეულ ბაღში სტუდენტს ჰყავს მიმაგრებული ასისტენტი, რომელიც ხელმძღვანელობს მის პრაქტიკულ საქმიანობას. დასაქმებისა და პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ, დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების წარმატებულ გამოცდილებას ადგილობრივ ბაღების გაერთიანებასთან თანამშრომლობის კუთხით. აღინიშნა, რომ კოლეჯის

არაერთი კურსდამთავრებული უკვე დასაქმებულია აღნიშნულ ბაღებში. ექსპერტმა განსაკუთრებით აღნიშნა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და მათი მოტივაცია ინოვაციური პროექტების დანერგვის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცხუმ ეგრისის (ს/კ: 220377759) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80 - ით (**დანართი 4**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**მეხუთე საკითხი:** შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხი წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა მაისაიამ. აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ (კოდი 0913) შეესაბამება მეხუთე დონეს. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 180, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის 210 კრედიტს შეადგენს. განხორციელების ადგილია ქალაქი ზუგდიდი, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 100 პირამდე გაზრდის თაობაზე. ექსპერტთა დასკვნით, კვოტის ზრდა ეფუძნება შრომის ბაზარზე ექთნების მწვავე დეფიციტს, პროგრამაზე არსებულ მაღალ მომართვიანობასა და საქართველოს მთავრობის „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიას“, რაც ჯანდაცვის სექტორის პრიორიტეტებისკენაა მიმართული.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება მოთხოვნილ კვოტასა და სასწავლო მიზნებს. კოლეჯში გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი ორი A ტიპის (ჯამში 40 სამუშაო ადგილი) და ერთი B ტიპის კომპიუტერული სასწავლო გარემო, რაც ორცვლიანი სწავლების პირობებში უზრუნველყოფს სტუდენტთა ნაკადების ოპტიმალურ ათვისებას. კოოპერაციული სწავლების ფარგლებში, კლინიკური კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის სს „ევექსის ჰოსპიტლებში“ (ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი), ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკაში, შპს „ნლი“-სა და სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში. აღსანიშნავია, რომ კლინიკური სწავლებისას მკაცრად არის დაცული პრაქტიკის ინსტრუქტორისა და სტუდენტების 1/7-ზე თანაფარდობა, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტში (კერძოდ, სენაკში) პრაქტიკაზე დასწრების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ საკუთარ თავზე აიღო სტუდენტთა ტრანსპორტირების სრული პასუხისმგებლობა.

პროგრამაში ჩართულია 29 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი; მათგან 21 დარგობრივ, ხოლო 8 ზოგად მოდულებს უძღვება. მასწავლებელთა დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. რისკების მინიმუმზაციისა და პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას თითოეულ მოდულზე განსაზღვრული ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. ამასთან, პროგრამას ხელმძღვანელობს მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული როგორც პროგრამის ადმინისტრირებაში, ისე შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ხარისხის კონტროლის პროცესებში.

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ბიბლიოთეკის მეშვეობით, სადაც სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ ლიტერატურასთან და კომპიუტერულ ტექნიკასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, სასწავლო მასალების მოდიფიცირებისა და აკომოდაციის მკაფიო პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ფინანსური მდგრადობის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა ეფუძნება ვაუჩერული დაფინანსების მოდელს. რენტაბელობის ზღვარი განისაზღვრება 63 პროფესიული სტუდენტით, ხოლო გათვლილი ბიუჯეტი 1,285,300 ლარის ოდენობით სრულად ფარავს ყველა საოპერაციო ხარჯს, მათ შორის პერსონალის ანაზღაურებას, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის საფასურს, ინფრასტრუქტურის შენახვასა და საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

პრაქტიკის კომპონენტის მონიტორინგისა და სტუდენტთა გადანაწილების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა დამაზუსტებელი კითხვა კლინიკურ პრაქტიკაში სტუდენტთა ზედამხედველობის თაობაზე. იგი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება პრაქტიკის ობიექტებში (პარტნიორ კლინიკებში) იმ სტანდარტის კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს ერთი ინსტრუქტორის მიერ მაქსიმუმ შვიდი სტუდენტის ხელმძღვანელობას. მისი თქმით, მოდულით განსაზღვრული კრიტერიუმის შესრულება რეალურ სამუშაო გარემოში შესაძლოა შეფერხდეს სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად. დარგის ექსპერტმა, ხათუნა მაისაიამ, განმარტა, რომ აღნიშნულ პროცესს მკაცრად აკონტროლებს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თავად არის „ევექსის“ (EVEX) კლინიკური ქსელის წარმომადგენელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კლინიკა იურიდიულად ვალდებულია გამოყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ინსტრუქტორი ყოველ შვიდ სტუდენტზე. პრაქტიკის ინსტრუქტორები (მოქმედი ექთნები) სრულად არიან გათვითცნობიერებულნი პროგრამის მოთხოვნებში და პროფესიული ეთიკიდან თუ სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე, კატეგორიულად არ იღებენ დადგენილ ნორმაზე მეტ სტუდენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საექთნო საქმე" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

#### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ცხუმ ეგრისს (ს/კ: 220377759) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 100 - ით **(დანართი 5)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**მეექვსე საკითხი:** შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

#### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაწილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაწილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძეს ჰქონდა აცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 მარტის №366393 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ – დამატებასთან დაკავშირებით შესაბამისობის შეფასება. შეფასება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ 2026 წლის 03 აპრილს, მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50. გეგმის მიხედვით, გაიმართა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან. ამასთან, განხორციელდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (კოდი 0612) შესაბამისობას მესამე დონეს. განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი და პროგრამა მიზნად ისახავს IT მხარდაჭერის სფეროში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 55 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 70 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 64 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ, რაც ორ ცვლაში სწავლების პირობებში სრულად შეესაბამება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებს.

პროგრამის დანერგვისა და განხორციელების გადაწყვეტილება დასაბუთებულია და ეფუძნება შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2024 წლის ანალიზი და აკადემიის შიდა სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებზე არსებულ მზარდ მოთხოვნასა და აპლიკანტთა მაღალ მომართვიანობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო (არასრული ზოგადი) განათლება, რაც უზრუნველყოფს სათანადო წინარე ცოდნის მქონე პირთა შერჩევას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შემუშავების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცესი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რისთვისაც აკადემიაში გამოყოფილია AB ტიპის აუდიტორია. სივრცე აღჭურვილია 32 სამუშაო ადგილითა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით, ლოკალური ქსელითა და პროგრამის სპეციფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით. ადამიანური რესურსის კუთხით, პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 19 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ სამი განმახორციელებელი, რაც მინიმუმამდე ამცირებს პროცესის შეფერხების რისკებს. პერსონალის დატვირთვა ოპტიმალურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ფინანსური თვალსაზრისით, რენტაბელობის ზღვარია 10 სტუდენტი. სტუდენტებს აქვთ წვდომა როგორც ბექდურ, ისე ელექტრონულ ლიტერატურაზე, მათ შორის ინოვაციური მიდგომით - QR კოდების გამოყენებით. აკადემიას მკაფიოდ აქვს გაწერილი ინკლუზიური განათლების მექანიზმები, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და სასწავლო პროცესის ადაპტირებას გულისხმობს. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა, რასაც ადასტურებს შესაბამის პროვაიდერ ორგანიზაციასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის შეფასების სისტემები ეფუძნება დემინგის (PDCA) ციკლს და ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. სწავლება ითვალისწინებს თანამედროვე, ინტერაქტიულ და პროექტებზე დაფუძნებულ მეთოდებს. დაწესებულება სისტემატურად იკვლევს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილებას და მიღებულ უკუკავშირს პროგრამის მოდიფიცირებისთვის იყენებს. სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, რაც მყარდება შიდა ვერიფიკაციის ქმედითი მექანიზმით. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი საიმედოდ აღირიცხება და ინახება 3 წლის ვადით, ხოლო თავად შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. საბოლოო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ყველა მოთხოვნასა და ინდიკატორს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

მატერიალური რესურსისა და გამტარუნარიანობის შესახებ, სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, დასვა კითხვა 64 სტუდენტისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის ადეკვატურობის თაობაზე. ავტორიზაციის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ მატერიალური რესურსი გათვლილია ორ ცვლაზე (თითო ცვლაში 32 სამუშაო ადგილი/კომპიუტერი), ხოლო დაწესებულების საერთო რესურსი აღნიშნულ რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება.

პროგრამების კვეთისა და ფართის ათვისების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, განაცხადა, რომ აკადემიამ წარადგინა ყველა პროგრამისათვის საერთო რესურსის დასაბუთების დოკუმენტი. მან ხაზი გაუსვა, რომ ახალი პროგრამისათვის გამოყოფილი

აუდიტორია და ინვენტარი ექსკლუზიურია და სხვა პროგრამების ფარგლებში არ გამოიყენება. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ვიზიტისას დათვალიერდა ყველა (ოთხივე) მოქმედი პროგრამის აუდიტორია და დადასტურდა მათი დამოუკიდებელი ფუნქციონირება.

დარგობრივი რესურსისა და გარემო პირობების შესახებ, დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკელიძემ, აღნიშნა, რომ კოლეჯს ჰყავს იმაზე მეტი კვალიფიციური პედაგოგი, ვიდრე ამას სტანდარტი მოითხოვს. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებამ არა მხოლოდ შეიძინა ახალი სტანდარტების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, არამედ იზრუნა სტუდენტთა კომფორტზეც - გააერთიანა ორი მცირე სივრცე, დაამონტაჟა კონდიციონერი და მოაწყო დამცავი ფარდები ტექნიკის გადახურების თავიდან ასაცილებლად.

სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესახებ, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მაღალი კმაყოფილება. სტუდენტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კოლეჯის მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა და მოქნილობა სასწავლო განრიგის დაგეგმვისა თუ ინდივიდუალური კონსულტაციების მიმართულებით.

შესაბამისობის გეგმის შესრულების შესახებ, საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა 20 მაისისთვის გაწერილი გეგმის სტატუსის თაობაზე. ნინო ვასაძემ განმარტა, რომ განაცხადის შემოტანის მომენტში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისათვის ყველა სამუშაო დასრულებული იყო და აუდიტორია სრულად იყო აღჭურვილი საჭირო რესურსით. აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა დასკვნაში დაწესებულება სრულ შესაბამისობაში შეაფასეს.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა ექსპერტებს თხოვნით, რომ მომავალში უფრო დეტალურად აღწერონ ის გარემოებები, რის საფუძველზეც ხდება დაწესებულების მიერ განაცხადში მითითებული „მეტწილი შესაბამისობის“ შეფასების შეცვლა „სრულ შესაბამისობის შფასებით“. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა გაიზიარა აღნიშნული შენიშვნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ დამატების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (დანართი 6).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა.**

**მეშვიდე საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო რამიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 10/03/2026 ბრძანება N295045 საფუძველზე, 2026 წლის 20 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „მარნეულის კოლეჯში“ (მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ და მისი განხორციელების ფართის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტი წარმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მათ შორის, დარგობრივი ლაბორატორიის, IT ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის შემოწმება. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი ინსტიტუციური სტანდარტის ნაწილში. ინდიკატორი 5.1.2.3: კოლეჯის შენობის მესამე სართული, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელება და ასევე, მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა არ იყო ასახული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში“. აღნიშნული ფართისა და საევაკუაციო გეგმის გათვალისწინებით კი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან (სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“), რაც დადასტურდა წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დაწესებულებაში ვიზიტისას, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე. ვიზიტი დასრულდა დღის შეჯამებით და დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გამოკვეთილი მიგნებების გაცნობით.

ხარვეზები არ გამოვლენილა და ვიზიტის ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

### **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

**ინდიკატორი 5.1.2.3.** დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში მესამე სართულის ფართის (ახალი სასწავლო გარემოს) შესახებ ინფორმაციისა და საევაკუაციო გეგმის ასახვა და შეათანხმოს კომპეტენტურ ორგანოსთან - სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“ აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა - არ შეესაბამება. თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით, (წერილი 403914 – 03/04/2026) წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და აღნიშნული ინდიკატორის შესრულების მტკიცებულება. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული (ასახულია მესამე სართულის ფართი და მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - შეაფასა, როგორც - მეტწილად შეესაბამება.

დაწესებულებამ დასკვნის პროექტში ასახულ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი 403914 – 03/04/2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზის შესახებ. დასკვნის პროექტში ხარვეზი დაფიქსირებული იყო შემდეგი ფორმულირებით: **ინდიკატორი 5.1.2.3. - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი** - კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ არ მოიცავს შენობის მესამე სართულს, სადაც დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარია“ განხორციელება. ახალი სასწავლო ფართისთვის მომზადებული საევაკუაციო გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „მარნეულის კოლეჯმა“ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა ჯერ კიდევ 2025 წლის თებერვალში იყო შეთანხმებული შსს-ს სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან. დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება (№27/02), მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტომასალა, რაც ადასტურებს, რომ საევაკუაციო გეგმები ვიზიტის პერიოდშიც განთავსებული იყო შენობის თვალსაჩინო ადგილებზე. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტაცია და დააზუსტა, რომ ხარვეზი ძირითადად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მესამე სართულის საევაკუაციო გეგმა არ წარმოადგენდა ერთიანი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დოკუმენტურ ნაწილს. შესაბამისად, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მიუხედავად საევაკუაციო სქემების ფიზიკური არსებობისა, სამართლებრივ ჭრილში მართვის საერთო მექანიზმი საჭიროებდა დაზუსტებასა და ერთიან ფორმატში შეთანხმებას. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯმა წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 20 მარტის №5346 და №5871 ბრძანებებით). დაწესებულებამ გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე წარმოადგინა საბოლოო მტკიცებულება - სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან“ შეთანხმებული ახალი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

პროგრამა „კულინარია“ წარმოადგენს მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში. პროგრამა დამტკიცებულია შპს „მარნეულის კოლეჯის“ დირექტორის 2026 წლის 27 თებერვლის N3862 ბრძანებით. სწავლების ენა არის ქართული; კრედიტების რაოდენობა: 90 კრედიტი ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 104 პირს. განხორციელების ფორმა არის იმპირებული სამუშაო გარემო, ხოლო განხორციელების ადგილია ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა, რომ პროგრამა შემუშავებულია

დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიის დაცვით და შეესაბამება კოლეჯის მისიას. პროგრამის საჭიროება დასაბუთებულია შრომის ბაზრის კვლევითა და დამსაქმებლებთან კონსულტაციებით. პროცესში ჩართული იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო პროგრამის შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან. პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები. შერჩევის პროცედურა მოიცავს ტესტირებასა და გასაუბრებას, ხოლო არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულების გავლა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 17 დარგობრივი სპეციალისტი. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო მათი კვალიფიკაცია დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუების შედეგად. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე. მოდულებში ინტეგრირებულია არჩევითი კომპონენტი „პრაქტიკული პროექტი - კულინარია“, რაც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

დაწესებულება ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას (იჯარის ხელშეკრულება ძალაშია 2032 წლამდე), რაც სრულად ფარავს ავტორიზაციის პერიოდს. პროგრამა ხორციელდება შენობის მესამე სართულზე, სადაც მოწყობილია: A გარემო - 40 სტუდენტზე გათვლილი თეორიული სწავლების აუდიტორია. B გარემო - 24 კომპიუტერით აღჭურვილი ლაბორატორია. და C გარემო - თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო სამზარეულო 20 სტუდენტისთვის.

დაწესებულებაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და შრომის უსაფრთხოების მონიტორინგს ახორციელებს აკრედიტებული კომპანია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად გამოვლენილი ხარვეზი (მესამე სართულის საევაკუაციო გეგმის შეუსაბამობა) გამოსწორდა. კოლეჯმა წარადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული განახლებული გეგმა, რის საფუძველზეც ინდიკატორი 5.1.2.3 შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

დაწესებულებაში მოქმედებს გამართული ინტერნეტ-კავშირი და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემები (E-flow, Signify). დაცულია პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება, რაზეც ზედამხედველობს სპეციალური ოფიცერი. მოქმედებს პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და მოიცავს შიდა ვერიფიკაციის პროცედურებს. კოლეჯის ვებგვერდი (mc.edu.ge) და სოციალური ქსელები მუშაობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საევაკუაციო და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებული შეუსაბამობის შესახებ, სხდომის თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა ინდიკატორ 5.1.2.3-ის მეტწილ შესაბამისობაში შეფასების მიზეზებზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა დასკვნა გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა და მოითხოვა დაზუსტება.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო რამიშვილმა, განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მესამე სართულზე საევაკუაციო გეგმა ფიზიკურად იყო გამოკრული და უსაფრთხოების წესები დაცული ჩანდა. თუმცა, ხარვეზი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თავად კოლეჯის ოფიციალურ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში არ იყო ასახული ინფორმაცია მესამე სართულის შესახებ და შესაბამისად, მესამე სართულის გეგმა არ იყო ოფიციალურად შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ დასკვნის პირველადი პროექტის წაკითხვისას მათ არასწორად აღიქვეს ექსპერტის შენიშვნა, თითქოს ზოგადად არ გააჩნდათ შეთანხმებული გეგმა. ამიტომაც დააფიქსირეს უთანხმოება, რადგან საბაზისო საევაკუაციო გეგმა სააგენტოსთან შეთანხმებული ჰქონდათ. წარმომადგენელმა

დაადასტურა, რომ მესამე სართულის გეგმის ასახვისა და სააგენტოსთან შეთანხმების პროცესი ვიზიტის პერიოდში მხოლოდ სიტყვიერ ეტაპზე იყო, რასაც დაწესებულება საბოლოოდ დაეთანხმა. მან აღნიშნა, რომ ხარვეზის იდენტიფიცირების შემდეგ კოლეჯმა მყისიერად მოახდინა რეაგირება და შესაბამისობის გეგმის ფარგლებში უკვე წარმოადგინა სააგენტოსთან ოფიციალურად შეთანხმებული, განახლებული დოკუმენტაცია.

საბჭოს გადაწყვეტილება შეფასების შეცვლასთან დაკავშირებით: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დაადასტურეს განახლებული დოკუმენტის არსებობა, თუმცა დებულებიდან გამომდინარე ვერ შეცვალეს უკვე დაფიქსირებული შეფასება. მან მიმართა საბჭოს წევრებს, გაეცნენ თუ არა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და თანახმა არიან თუ არა, ინდიკატორი 5.1.2.3-ის შეფასება („მეტწილად შეესაბამება“) შეიცვალოს და განისაზღვროს როგორც „შესაბამება“.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" დამატების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 234158498) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია“ (**დანართი 7**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**მერვე საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ნატროშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 მარტის (N 295045) და 2026 წლის (20 მარტის N340097) ბრძანებების საფუძველზე, 2026 წლის 20 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და დამატებული ფართის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ვიზიტი წარმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განხორციელდა სასწავლო სივრცეების ფიზიკური დათვალიერება, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის შემოწმება. ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

**პროგრამული სტანდარტის კომპონენტი (2.2 - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი):**

მატერიალური ბაზის დათვალიერებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულის „შოკოლადისა და კარამელის სამუშაოების“ პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სპეციფიკური აღჭურვილობა - კერძოდ, კარამელზე სამუშაო სპეციალური „ლამფიონი“ - კოლეჯს არ გააჩნდა, რაც ზღუდავს შესაბამისი პრაქტიკული უნარების სრულფასოვნად გამომუშავების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფაქტის დაფიქსირების შემდეგ კოლეჯმა მოახდინა დროული რეაგირება და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვის დაწყების დამადასტურებელი ინვოისი, რაც მიუთითებს რესურსის უზრუნველყოფის პროცესის დაწყებაზე, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტაცია (ინვოისი) წარმოდგენილი იქნა უშუალოდ ვიზიტის პროცესში და არა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში, ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა იგი ვერ მიიღო მხედველობაში და შეფასება დააფუძნა ვიზიტის მომენტში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან მხოლოდ ერთ მასწავლებელს უდასტურებოდა კონდიტერიის მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული კომპეტენცია. უშუალოდ კონდიტერიის მიმართულებით დანარჩენი პედაგოგების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაცია ვერ დადასტურდა, რაც ქმნის რისკს სწავლის შედეგების ხარისხიანად მიღწევის თვალსაზრისით.

**ინსტიტუციური სტანდარტი (5.1- მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა):**

საგანგებო სიტუაციების მართვა (ინდიკატორი 5.1.2.3): კოლეჯის შენობის მესამე სართული, სადაც დაგეგმილია პროგრამის განხორციელება, არ იყო ასახული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში“ და არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან (სსიპ საგანგებო

სიტუაციების მართვის სამსახური). ვინაიდან სტანდარტი ითხოვს: „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“, აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც შეუსაბამობა. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, პროგრამული და მატერიალური რესურსების სტანდარტის სხვა კომპონენტები დაკმაყოფილებულია. დარგობრივი ლაბორატორია, იდენტიფიცირებული ნივთის გარდა, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. უსაფრთხოების თვალსაზრისით, გარდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა, უზრუნველყოფილია შენობის მდგრადობა და სახანძრო უსაფრთხოების სხვა მოთხოვნები. ვიზიტი დასრულდა შემაჯამებელი შეხვედრით, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის ადმინისტრაციას გააცნო ძირითადი მიგნებები.

### **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

**ინდიკატორი 2.2.1.1:** პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიული მოდულით — „შოკოლადისა და კარამელის სამუშაოები“ — განსაზღვრული პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სპეციფიკური აღჭურვილობის, კერძოდ, კარამელზე სამუშაო „ლამფიონის“ შესყიდვა (2 ერთეული) და ლაბორატორიაში (№309) განთავსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2.2.1.1 სტანდარტის ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

**ინდიკატორი 2.2.1.2** - ექსპერტთა მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (94 სტუდენტი) გათვალისწინებით, კოლეჯმა უზრუნველყოს კვალიფიციური დარგის სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა უშუალოდ კონდიტერიის მიმართულებით. აუცილებელია მინიმუმ 1-2 დამატებითი მასწავლებლის მოზიდვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთი პერსონალის ზედმეტი დატვირთვა და უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული მეცადინეობების შეუფერხებელი მიმდინარეობა ყველა ჯგუფში. კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გუნდის გაძლიერება შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტებით უშუალოდ კონდიტერიის მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2.2.1.2 და 2.2.1.3 სტანდარტის ინდიკატორები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

**ინდიკატორი 5.1.2.3** - ექსპერტთა მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის“ განახლება/კორექტირება მასში შენობის მესამე სართულის (სასწავლო ფართის) ასახვით და განახლებული დოკუმენტის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან — სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 5.1.2.3 სტანდარტის ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

### **განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**2.2.1.4** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ვინაიდან შრომის ბაზარზე დარგობრივი და ადმინისტრაციული უნარების ერთობლიობით დაჯილდოებული კადრების დეფიციტია, მნიშვნელოვანია კოლეჯმა მოახდინოს არსებული კადრის გაძლიერება პროფესიული განათლების რეგულაციებისა და მართვის მოდელების მიმართულებით.

პროფესიული პროგრამის „კონდიტერია“ (კოდი 1013) ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და მისი მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის 120 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა და დასაბუთებულად მიიჩნია დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული

რაოდენობის 94 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ. პროგრამის განხორციელება სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან, რომელიც მიზნად ისახავს ქვემო ქართლის რეგიონში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას. გადაწყვეტილება ეფუძნება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ჩატარებულ კვლევებს, რომელთა თანახმადაც, სტუმარ-მასპინძლობის სექტორში ვაკანსიების 88% სწორედ მცხოვრებებსა და კონდიტერებზე მოდის, რაც პროგრამის მაღალ აქტუალობას ადასტურებს.

მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასებისას გამოიკვეთა როგორც ძლიერი მხარეები, ისე გასაუმჯობესებელი სფეროები, რაზეც ექსპერტებმა შესაბამისი რეკომენდაციები გასცეს. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილი A და B გარემოები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუმცა პრაქტიკული სწავლების C გარემოში (საკონდიტრო ლაბორატორია №309) დაფიქსირდა სპეციფიკური აღჭურვილობის, კერძოდ, კარამელის დასამუშავებელი ლამფიონის ნაკლებობა. კოლეჯმა ოპერატიულად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 2026 წლის 15 ივნისამდე აიღო ინვენტარის შესყიდვის ვალდებულება. ადამიანური რესურსების მიმართულებით დაფიქსირდა, რომ უშუალოდ კონდიტერიის მოდულებზე თავდაპირველად მხოლოდ ერთი კვალიფიციური პირი ფიქსირდებოდა, ხოლო „ხატვა და ძერწვა კონდიტერიაში“ მოდულის განმახორციელებელს, მიუხედავად სამხატვრო განათლებისა, არ უდასტურდებოდა საკვებ მასალებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და უვნებლობის ნორმების ცოდნა. რისკების დასაზღვევად, კოლეჯმა ვადაზე ადრე (2026 წლის 5 აპრილამდე) დაასაქმა ორი ახალი, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რითაც უზრუნველყო პროგრამის მდგრადობა და პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებელი მიმდინარეობა ექვსივე ჯგუფისთვის.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლს და ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური და გამჭვირვალე, რაც მყარდება შიდა ვერიფიკაციის დამოუკიდებელი მექანიზმითა და აპელაციის მკაფიო პროცედურებით. სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, კოლეჯი მზადაა შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ) სსსმ და შშმ პირებისთვის. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა მაღალეფექტიანია; წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტზე გადის, რაც მოთხოვნილი კვოტის პირობებში სრულად უზრუნველყოფს საოპერაციო ხარჯების, პერსონალის საათობრივი ანაზღაურებისა და ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯების დაფარვას.

ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო რესურსების კუთხით, კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს 2032 წლამდე იჯარით აღებულ ფართში, რომელიც სრულად არის ადაპტირებული, უზრუნველყოფილია იატაკის ცენტრალური გათბობითა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით. უსაფრთხოების მექანიზმები დადებითად შეფასდა, თუმცა გამოიკვეთა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში ახლად ათვისებული მესამე სართულის ასახვის საჭიროება, რაც კოლეჯმა ვადაზე ადრე შეასრულა და განახლებული დოკუმენტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეათანხმა. დაწესებულებაში საქმისწარმოება უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული E-FLOW და SIGNIFY ციფრული პლატფორმების გამოყენებით, ხორციელდება კიბერ-რისკების მართვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას წარმატებით ასრულებს სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) ვებგვერდი და სოციალური ქსელები, რაც რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობას. ექსპერტთა დასკვნით, გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და აღმოფხვრილი ხარვეზების ფონზე, პროგრამა აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

მატერიალური რესურსისა და აღჭურვილობის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გამახვილა ინდიკატორ 2.2.1.1-თან დაკავშირებულ შეუსაბამობაზე. კერძოდ, დაწესებულებას არ აქვს კარამელზე მუშაობისთვის საჭირო სპეციფიკური ლამპები. დარგის ექსპერტმა, ხათუნა ბაკურაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული მოწყობილობა საქართველოში ფიზიკურად არ მოიპოვება და მისი იმპორტი 2.5-დან 3 თვემდე ვადებს მოითხოვს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯებში ხშირად ფიქსირდება ამ რესურსის არაგონივრული რაოდენობით მოთხოვნა (5-6 ერთეული), მაშინ როდესაც ევროპული სტანდარტებით ჯგუფზე 2 ერთეული სრულიად საკმარისია. ამასთანავე, ექსპერტმა ხაზი გაუსვა დარგობრივ გამოწვევას: საქართველოში შაქრის ნაკეთობებზე მომუშავე კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელების დამატებით რისკს წარმოადგენს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯმა სცადა ალტერნატიული გამათბობელი საშუალებების გამოყენება სხვა სპეციალისტების რეკომენდაციით, თუმცა დარგის ექსპერტის პოზიციის შემდეგ, დაწესებულებამ ოპერატიულად შეუკვეთა სტანდარტით გათვალისწინებული ლამპები, რომლებიც 2-3 კვირაში ადგილზე იქნება.

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, მსჯელობა შეეხო წარმოდგენილ პედაგოგებს. ექსპერტმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის ჩართვა პროგრამაში მხოლოდ ძერწვის კომპეტენციის საფუძველზე, ვინაიდან საკონდიტრო წარმოება მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას ტემპერატურულ რეჟიმებსა და სურსათის უვნებლობაზე. დაწესებულებამ გაიზიარა შენიშვნა და წარმოადგინა ალტერნატიული კადრები, რომლებთანაც ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია.

რისკების მართვის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება და ხედავს პასუხისმგებლობას მარნეულის რაიონში კვალიფიციური კადრების მოძიებაზე. კარამელთან მუშაობის მოდული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მეორე წელს, რაც იძლევა სრულ გარანტიას, რომ ამ დროისთვის მატერიალური ბაზა სრულად იქნება აღჭურვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" დამატების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს „მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 234158498) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კონდიტერია“ **(დანართი 8)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აპრილი.

**საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მარნეულის კოლეჯში მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 ივნისი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
კაკაბაძე ელენე

ე. კაკაბაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე  
ჩხარტიშვილი ხათუნა

ჩხარტიშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ბუთხუზი ნათია

ნ. ბუთხუზი



პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯავახიშვილის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ.N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯავახიშვილის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, შალვა ჯავახიშვილის ქ. N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	16
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	12
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	98

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	14
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
